საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1116-03
01.08.2023

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციისთვის დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის, წარმოდგენის ფორმატის და საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ“ დეკანის 2023 წლის 26 ივლისის N 1079-03 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციისთვის დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის, წარმოდგენის ფორმატის და საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ“ დეკანის 2023 წლის 26 ივლისის N 1079-03 ბრძნების მე-15 პუნქტში, სამაგისტრო პროგრამაზე - „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები“ რეგისტრაციაგავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შიდა საუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის თარიღად 2023 წლის 7 სექტემბრის ნაცვლად განისაზღვროს 2023 წლის 11 სექტემბერი და ჩამოყალიბდეს ქვემოთ აღნიშნულის შესაბამისად:

“15. სამაგისტრო პროგრამაზე - „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები“ რეგისტრაციაგავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შიდა საუნივერსიტეტო წერითი გამოცდის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 4 სექტემბერი, ხოლო ზეპირი გამოცდის თარიღად 2023 წლის 11 სექტემბერი.”

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;

3. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს

ნიკოლოზ ყაველაშვილი

დეკანი